მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 4 1883—1901 28 თებერვალი.

ყოვლად სამღვდელო გაბრიელის საფლავზე ძეგლის დადგმა და მისი კურთხევა გელათის მონასტერში.

ბევრი შესანიშნავი პირების გვამნი განისვენებენ გელათის მონასტერში და ამ შესანიშნავ განსვენებულ პირთა გუნდს 1896 წელს, 10 მარტს კიდევ მიემატა ერთი ყველა ქართველთაგან პატივცემული და საყვარელი მწყემსთ-მთავარის ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გვამი. შემდეგ ხანგრძლივი სასტიკი ავადმყოფობისა ყოვლად სამღვდელო გაბრიელი გარდაიცვალა 25 იანვარს 1896 წელსა. დაობლდა იმერეთის სამწყსო, დადუმდა ქართველთა მწყემსთ-მთავრის ოქროს პირი. ამ უბედურებას თითქო ბუნებამაც თანაუგრძნოო, მოვიდა უშველებელი თოვლი, შეკრა გზები, შეიქნა რღნობა; მღვდელ-მთავრის დამარხვა, რომელიც უნდა მომხდარიყო ტიბიკონისამებრ რამდენიმე დღის შემდეგ, შეჩერდა თვე ნახევარი გზების შეკვრისა გამო. ამ ხნის განმავლობაში მღვდელ-მთავარი ესვენა ქუთაისის საკრებულო ტაძარში პირ-ახდილი, უხრწნელად. ხალხი და ნამეტურ ექიმები გაკვირვებულნი იყვნენ, რომ მღვდელ-მთავრის გვამს, რომელიც თვე ნახევარი ესვენა ტაძარში, არავითარი ხრწნილება არ ეტყობოდა. განსვენებულის გვამის დაკრძალვის დღეს საქართველოს ყოველ კუთხიდამ ხალხმა დიდი პატივი სცა და ნიშნად პატივისცემისა ძვირფასად შემკული ხატები მიართვა განსვენებულს. მღვდელ-მთავრის პატივისმცემელთა და ნათესავთა გააკეთეს ძვირფასი სახატე, რომელშიაც ხელოვნუ-

რად და მშვენიერად არის მოწყობილნი და ჩასმულნი განსვენებულისადმი ყველა მირთმეული ხატები. ეს ძვირფასი, ესრეთ წოდებული დიდი „კიოტი“ (სახატე) არის დამდგარი საფლავის ახლოს კედელთან. ამ კიოტს აქვს ზემოთ შემდეგი წარწერა: ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ. როგორც კი შეხვალთ გელათის დიდ ტაძარში, თქვენ დაინახავთ პირველად კედელზე ამ ბრწყინვალე კიოტს, რომელიც მთლად ამკობს იმ კედელს.

4 თებერვალს ამ 1901 წ. მოხდა ამ ძეგლის კურთხევა. ამ დღეს გელათში ყოვლად სამღვდელო ლეონიდი მწირველი ბრძანდებოდა განსვენებულის მწყემსთ-მთავრის სულის მოსახსენებლად და წირვის შემდეგ ეს ძეგლიც აკურთხა მათმა მეუფებამ. მღვდელ-ვთავართან ერთად მწირველნი იყვნენ გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი სერაფიონი, დეკ. გ. ცაგარეიშვილი. იღუმენი სოფრონი და გელათის მონასტრის კრებული. წირვის გათავების შემდეგ პანაშვიდი იქმნა გადახდილი, რომლის აღსრულებაში მწირველ პირთა გარდა მონაწილეობა მიიღეს სხვა დამსწრე სამღვდელოებამაც. პანაშვიდის დაწყების წინ, მათმა მეუფებამ წარმოსთქვა შემდეგი გრძნობით სავსე სიტყვა:

> მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი, რომელნი გეტყოდეს თქვენ სიტყვათა მათ ღმრთისათა და... ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათსა (ებრ. 13, 7).

„ხუთი წელიწადია, რაც სტირის და გლოვობს იმერეთის სამწყსო თავისი სასიქადულო მწყემსთ-მთავრის გაბრიელის დაკარგვას; ხუთი წელიწადი შესრულდა, რაც ხსენებული მღვდელთ-მთავარი მოსწყდა სამწყსოს, დადუმდა მისი მჭერმეტყველი ენა, ჩადგა მისი მამობრივი, წრფელი, მოსიყვარულე და სიამოვნებით აღსავსე ქადაგების ხმა, მაგრამ სამწყსოს მაინც ვერ მოუნელებია ეს მწუხარება, ვერ შერიგებია მას, სტირის და არ იშრობს დღევანდლამდე თვალებზე ცრემლებს. აჰა კიდევ ახალი და ცხადი საბუთი ნათქვამისა ეს დღევანდელი ჩვენი ამოდენა კრება!

ბედნიერია, ვისაც უფალი აღირსებს ესოდენ მაღალ ხვედრს, უკვდავია, ვისაც გაუმართავს ასეთი მტკიცე და ფართო ხიდი თავისსა და ხალხის გულ შორის, ვისაც ასე არა ვიწროდ დაუბანაკებია ერის გულში! ასეთს, და მხოლოთ ასეთს მწყემსს შეუძლიან სრულის გაბედულობით სთქვას თავისს თავზედ იესო ქრისტეს მაღალი სიტყვები: მე ვარ მწყემსი კეთილი, და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ (იოან, 10, 14).

მეტად გასახარელი და საქებურია ხსოვნა ერის მხრივ მწყემსისა, რადგანაც ამითი სამწყსო ასრულებს მოციქულის საღმრთო მცნებას: მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი, რომელნი გეტყოდეს თქვენ სიტყვათა მათ ღმრთისათა და... ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათსა (ებრ. 13, 7). და რომელია განვლილ საუკუნის ქართველ მწყემსთ-მთავართა შორის, რომ გაბრიელზე მეტად ექადაგნოს ჩვენთვის ღვთის სიტყვა, გაბრიელზე ერთგულად და სურვილით ემუშაკნოს ღვთის ყანაზედ! დიაღ, საქებური და სასიქადულოა ჩვენი მხრით ხსოვნა და პატივისცემა განსვენებული დიდი მღვდელთ-მთავრისა, მაგრამ ხსოვნაცაა და ხსოვნაც. არის ხსოვნა და პატივისცემა გარეგანი, თვალთ-მაქცური, გამოწვეული ზაკვით და ცბიერობით და არის პატივისცემა და ხსოვნა გულითადი, წრფელი, ყოველ მხრივ ღირსი და შესაფერი მისი, ვისაც მიუძღვნით მას. ფარისევლები და მწიგნობრებიც პატივსა ჰსცემდნენ და იგონებდნენ წინასწარმეტყველებსა და მართალთა მათი სამარეების გამშვენებით, მაგრამ მაცხოვარმა კი სასტიკად განკიცხა იგინი: ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ აშენებთ საფლავთა წინასწარმეტყველთასა და შეამკობთ სამარებსა მართალთასაო (მათ. 23, 29). სწორეთ დიდად უნდა გვეშინოდეს, მსმენელნო, რომ ეს ჩვენი საქციელი არ მიაგავდეს თავისი ღირსებით სამართლიანად განკიცხულ მწიგნობართა და ფარისეველთა მოქმედებას, რომ ამ საქციელით არ გავარისხოთ ზეციერი მამა ჩვენი და არ მივაყენოთ აჩრდილი უსიამოვნებისა იმისს სულს, ვისმა ხსენებამაც შეგვკრიბა დღეს. ვიცოდეთ და გვჯეროდეს მტკიცედ, რომ უშედეგო, უნაყოფო, ამაო და უქმი იქნება ეს ჩვენი სამგლოვიარო ყრილობა, ჩვენი სულთქმა და წუხილი, ცრემლთა ფრქვევა და ქვითინი, განსვენებულის სამარის მოკაზმა და გამშვენება თუ ამითი გავათავეთ ყველაფერი და ამაზედ შევდეგით. არა, სხვა გვარ, სულ სხვა გვარ პატი-

ვისცემას გვავალებს ჩვენ ღვთივ გარდაცვალებული გაბრიელის სათნო სახელი. მარადის ხსოვნა და, შეძლებისადაგვარად, განხორციელება საქმით იმ მაღალი, საღმრთო და სპეტაკი აზრებისა, რომლებსაც განუწყვეტლივ ჰქადაგებდა განსვენებული, შეთვისება და შეგნება იმ მაღალი რწმენისა და უმწიკვლო მიმართულებისა, რომლებიც შეადგენდნენ ნეტარხსენებულის ცხოვრების განსაკუთრებითი თვისებას —აი რაზედ უნდა გვქონდეს მიქცეული გაბრიელის სახელის მართლად პატივისმცემლებს ყურადღება, აი რითი უნდა ვამტკიცებდეთ განსვენებულის პატივისცემას, აი რა უნდა მიგვაჩნდეს მისი ხსენების უმაღლეს სამკაულად!

სამწუხაროდ, ამ მხრივ ვერ გავახარებთ განსვენებულის სულს. დღევანდელი ჩვენი ცხოვრების სახე არ მოწმობს იმაზედ, რომ ჩვენ ვიყვნეთ მიმდევარნი ღირსეული მღვდელთ-მოავრის მოძღვრებისა, ჩვენი ურთ-ერთ შორის კავშირი და განწყობილება არ არიან აშენებულნი იმ საღმრთო ზნეობის მოვალეობაზედ, რომლის სიყვარული და მუდმივი ერთგულება ანდერძად დაგვიტოვა საყვარელმა მქადაგებელმა...

მაგრამ საკმარისია! შევიგნოთ ახლა მაინც ჩვენი დანაშაული, მოვიდრეკოთ მუხლნი ამ დიდებული საფლავის წინ და, პატივისაცემლად სახელოვანი მღვდელთ-მთავრისა, დავდვათ მტკიცე აღთქმა, რომ ამიერიდგან თვითეული ჩვენგანი დაიდებს ზნეობრივ ვალად განისპეტაკოს გული და გონება იმ საღმრთო აზრებითა, რომლებსაც დღემუდამ ჰქადაგობდა განსვენებული და იქმნება მიმდევარი ყველა იმისა, „რავდენი არს ჭეშმარიტ, რავდენი პატიოსან, რავდენი მართალ, რავდენი წმიდა, რავდენი საყვარელ, რავდენი საქებელ, რავდენი სათნო და რავდენი ქებულ (ფილიპ. 4, 8). ვიქმნეთ დღეიდგან არა მარტო მომხსენებელნი გაბრიელის სახელისა, არამედ მიმბაძავნიც მისი სარწმუნოებისა. ამინ!“

ყოვლად სამღვდელოს მგრძნობიერმა სიტყვამ ბევრს თვალთაგან ცრემლის ღვარი ადენია. ნათესავების და საზოგადოების გარდა წირვაზე და პანაშვიდზე დაესწრნენ ქუთაისის მაზრის უფროსი თავადი დადეშკელიანი და სხვა.

პანაშვიდის გათავების შემდეგ, მათი მეუფება და მისი კრებული მიწვეულნი იყვნენ ჩაეზე და სადილზე მამა არქიმანდრიტის სერაფიონისაგან. ჩაეს მირთმევის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ დაათვალიერა დავით აღმაშენებლის სამლოცველო. აქ დეკანოზმა ღამბაშიძემ მოახსენა მათ მეუფებას ყველა ის, რაც უკვე სისრულეშია მოყვანილი და რაც უნდა გაკეთდეს ამ სამლოცველოს განახლების და დავით აღმაშენებლის საფლავის შემკობის შესახებ. ბოლოს მათმა მეუფებამ ნახა ბრინჯაოს ფიცრები რომელზედაც ოქროს ასოებით არის ამოჭრილი წარწერილობანი და რომელნიც დავით აღმაშენებელის საფლავის ლოდის გვერდებზე იქნებიან დაკრულნი და მოიწონა.

ბოლოს მათმა მეუფებამ დაათვალიერა ყველა შენობანი მონასტერში და შესანიშნავი ძვირფასი ნივთეულობათა შესანახი სალარო. არა ერთხელ ჩამოუგდია ლაპარაკი მათ მეუფებას, ამ ძვირფასი ნივთების შეუფერებელ მდგომარეობის და დაცვის შესახებ. ყოველმა მნახველმა უთუოდ ხელი უნდა მოკიდოს ამ ნივთებს და გასინჯოს იგინი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოუხერხებელია ერთად მრავალი ხალხის შესვლა პატარა ბნელ სალაროში, სადაც ეს ნივთებია განჯინაში დაცული და სათითაოდ ყველასაგან მათი ხელის მოკიდება და გაშინჯვა. მათი მეუფების აზრით, მუცილებლად ძაჭიროა გაკეთება ესრეთ წოდებული „ვიტრინებისა“, რომ ყველას შეეძლოს ნივთის ნახვა ხელ-შეუხებლად. მაგრამ ის ადგილი, საცაც დღეს არის ეს ნივთები, მოუხერხებელია სიბნელისა და ამ სალაროის სივიწროისა გაიო. მათმა მეუფებამ დაათვალიერა თაღებზე აშენებული წმიდა ნიკოლოზის ეკლესია, რომელიც დასავლეთის მხრივ არის მთავარი ეკლესიიდამ და ნახა, რომ ეს ეკლესია იქნება სწორედ მშვენიერი ადგილი ყველა ძვირფასი ნივთების შესანახავად. აქ შეიძლება დაცვა არა თუ ამ მონასტრის ძვირფასი ნივთებისა, არამედ სხვა მონასტრებისაც. აქ, ამ ეკლესიაში მშვენიერად მოიწყობა ვიტრინები, ყველას ადვილად შეეძლება

გასინჯვა ნივთებისა ხელ შეუხლებლად და დაცულიც საიმედოდ იქნება. ძირა სართული ამა ეკკლესიისა, იქნება მოხერხებული დასაწყობი სხვა-და-სხვა ქვათა შესანიშნავი ქანდაკებით და წარწერილობებით. თუ ეს მშვენიერი აზრი მათი მეუფებისა სისრულეში მოვიდა, მაშინ ჩვენ, დასავლეთ-საქართველოის სამღვდელოებას და საზოგადოებას გვექმნება მშვენიერი მუზეი გელათის მონასტერში, სადაც მრავალი ნივთები მოთავსდება და ამის მოწყობა არც ბევრ ხარჯს მოითხოვს. სულით და გულით ვისურვებთ მათი მეუფების აზრის განხორციელებას —გელათში მუზეის დაარსების შესახებ. ამ მუზეის დაარსების შესახებ ჩვენ შემდეგში მოველაპარაკებით კიდევ მკითხველებს.

დეკ. დ. დამბაშიძე

არიან თუ არა ქართველ-კათოლიკენი?

(პასუხი ბ. სარუხანს)

გაგრძელება *).

მეორე მგზავრი, რომელსაც იხსენიებს ბ. სარუხანი თავისი აზრის დასამტკიცებლად, რომ ვითომ თფილისში არ იყვნენ ქართველნი კათოლიკენი, არის ტურნეფორი. საჭიროა გავიხსენოთ, რომ ეს მგზავრი მოვიდა ერზერუმიდამ, სადაც ცხოვრობდა სომეხთა შორის და მათგან შთაგონებული ყოველივეს საქართველოში სომხების თვალით უცქეროდა. თუ რამდენად შეაცდინეს ეს მგზავრი სომხებმა მათდა სასარგებლოდ, ამას აშკარად დავინახავთ შემდეგი მაგალითისაგან. ტურნეფორი იყო ტფილისში მე XVII საუკუნის დასაწყისში და თავის მგზავრობის აღწერაში შეიტანა ფრიად საგულისხმო სიტყვები: „Metropole des arméniens s'appelle Sion" [1]). ამ სახით ქართველების სიონის ტაძარი მან გადააკეთა სომხების საკათედრო ტაძრად, სომხების მღვდელ-მთავარს უწოდებს „ტფილელს", იმ სახელს, რომელიც ეკუთვნოდა ტფილისის ქართველ მიტრაპოლიტებს. აი თუ გინდათ „ჭეშმარიტება"!..

ეს კიდევ არაფერია, რომ ამ მგზავრმა წაართვა ქართველებს ძველი საკათედრო ტაძარი, რომელიც აღშენებულა მე-V საუკუნეში, იგი ქართველებს ამსგავსებს ველურ ხალხს. მისი სიტყვით ქართველებმა არ იცოდნენ არც სიგრძის და წონის ზომა, მათ არ ჰქონდათ ფულები, მხოლოდ საქონელს სცვლიდნენ, ანგარიში იცოდნენ მხოლოდ ასამდე და სხვ. [2]) ეხლა შეუფარდეთ ამ მცირედ შეგნებული მგზავრის აზრი ადგილობით და უცხო მწერლების მოწმობათ იმავე დროის განმავლობაში, და თქვენ ნათლად დარწმუნდებით, თუ რა რწმენის ღირსია ტურნეფორი. იმ ხალხს, რომელსაც ტურნეფორამდე ჰქონდა თოთხმეტი საუკუნის ლიტერატურა, ჭრიდა ფულს მე-V საუკუნიდამ [3]), ჰქონდა გაჩაღებული ვაჭრობა ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე, ასეთ ხალხს, ვიმეორებ, ტურნეფორი ადარებს ავსტრალიის დღეინდელ ველურ ხალხს, შეიძლება თუ არა, გკითხავთ, ასეთ მწერალს, რომელიც განგებ ფარავს ჭეშმარიტებას, ერწმუნოს კაცი, რომ ტფილისში მის დროს იყო 500 სომეხი კათოლიკე, ხოლო ქალაქის 20,000 მცხოვრებთა შორის ქართველები იყო მარტო

*) იხ. „მწყემსი" № 3 1901 წ.

[1]) Turnefort Leonrard. Relation d'un voyage du Levant fait par ordrə du roi. Amsterdam 1718; II, 135. ეს სიონი აშენებულია „კლდეზე", მტკვრის ნაპირზე, ე. ი. მისი სიტყვით სჩანს, რომ სომხების ვანქის ტაძარი იგივე სიონია, მისივე აზრით სიონი და მეტეხის ტაძარი ერთი და იგივეა: „La metropole des armeniens s'appelle Sion; elle est au délà du kur uu rocher escarpé.

[2]) Touruefort, op, cit. II, 127.

[3]) იხ. ბარათოვი. „ნუმიზმატიკური" სიბუთები საქართველოს სამეფოისა. Sanglois. Essai de la classification des suites monétaires dela Géorgie. ჩემი „ისტორიული აღწერილობანი ქართული სიტყვიერების ისტორიის" შესახებ, გამ. I-II მ. და სხვ.

3000, ხოლო სომხები 14,000. ტფილისს სატახტო ქალაქში მისი აზრით ქართველები ყოფილა 15%! ერთი სიტყვით, იმას რომ ეს დაუჯეროთ, მაშინ ჭეშმარიტებად უნდა ვაღვიათოთ ისიც, რომ სიონი ეკუთვნოდა სომხებს და ქართველებმა არ იცოდნენ სიგრძის და წონის ზომები: ვისაც აქვს ყური, ისმინოს..

მაგრამ ეს მცირედ შეგნებული მწერალიც არ უარ-ჰყოფს, რომ იყვნენ ქართველი კათოლიკებიც. ერთ ადგილს იგი ამბობს: Il y a quelques femmes mahometanes dans Tiflis, qui sont catholiques en secret et cellesla sont meilleures catholiques que les géorgiennes (Relation და სხ., II, 135). მივანდოთ თვით ავტორს იმისი გასინჯვა, თუ რამდენად გულ-მოდგინედ იღებდენ კათოლიკეთა აღსარებას თათრის და ქართველი ქალები, მაგრამ მან ვერ მოახერხა გვერდი აევლო და ამბობს, რომ იყვნენ ქართველი კათოლიკენიო, და რომ მართლა იყვნენ ქართველი კათოლიკენი, ეს ჩვენ დავინახეთ მრავალი უტყუარი საბუთებიდამ. მაშასადამე, ბ. სარუხანის მიერ ნამდვილი წყაროები ბევრად ანუ მცირედ მოწმობენ კათოლიკეთა აღსარების გავრცელებას ქართველთა შორის, ამიტომაც იგი, როგორც „მიუდგომლად გამსინჯი აღნიშნული კითხვისა, გვარწმუნებს, რომ ცნობილია მხოლოდ ერთი საბუთი, სადაც მოხსენებულია ერთი ქართველი გავლენიანი პირი, რომელსაც მიუღია კათოლიკეთა აღსარებაო“. ნებსითი თუ უნებლიეთია ეს ცდომილება? უცოდინარობა ცოდვა არ არისო, ამბობენ ქართველები, მაგრამ ჭეშმარიტების გქნზრახ დაფარვა, რომლის დასმტკიცებლად მან დამიწერა მე პასუხი, ანუ—ფაქტების განზრახ არევ-დარევა, მოკლედ რომ ვსთქვათ, ძლიერ უსინდისო ხელობაა.

ნუ თუ კიდევ საეჭვოა ჩემ მიერ მოყვანილი ცნობების შემდეგ, რომ საქართველოის სამეფოის დროსაც იყვნენ რამდენიმე ქართველი კათოლიკენი, რომელთაც აქვნდათ საკუთარი ეკლესია; საქართველოს მეფე შახ-ნავაზმა 1663 წელს მისცა მათ სახლი ეკლესიისათვის, და როცა სომხებმა ეს ეკლესია დააქციეს 1718 წელში, მაშინ კაპუცინებმა იწყეს მეორე ეკლესიის შენება 1741 წელს და მოასრულეს იგი 1749 წ. ეს ეკლესია დაანგრია სპარსეთის შაი აღა-მაღომეტ-ხანმა 1795 წ. აწინდელი ქართველ-კათოლიკეთა ეკლესია ტფილისში აშენებულია მე-XIX საუკუნის დამდეგს.

რასაკვირველია, რომ ქართველ-კათოლიკეთა ხან-და-ხან ზოგიერთი განსაცდელიც გამოსცადეს. ქართველი კათოლიკენი მეფე თეიმურაზ II-ის დროს ცოტა შევიწროებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ, ხოლო კაპუცინები განდევნილ იქმნენ საქართველოდამ, საბერძნეთის სამღვდელოების ზედგავლენით. საინტერესოა, რომ კაპუცინები დაბრუნებულ იქმნენ საქართველოში არა მარტო თეიმურაზის შვილის—ირაკლი II-ის დროს, არამედ თვით თეიმურაზის წერილში, რომელიც ნახულ იქმნა არქივში Propaganda Fide, სამი წლის შემდეგ კაპუცინების განდევნისა [4]), მიიქცა ახალციხეში pater ლეონარდისადმი თხოვნით, რომ მას გამოეგზავნა საქართველოში კათოლიკეთა ერთი რომელიმე მქადაგებელი ქართველ-კათოლიკეთა სამწყსოის სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. კითხვა მქადაგებელთა დაჯილდოების შესახებ წართმეულ ეკლესიების გამო აღძრულ იქმნა არა ამ საუკუნის დამდეგს, როგორც ფიქრობს ბ. სარუხანი, არამედ ჯერ კიდევ საქართველოის მეფეების ირაკლი II და გიორგი XII დროს, რომელნიც პირდებობდნენ ზარალის აღდგენას. სამეფოის ხაზინის ფინანსიური გაჭირვება იყო მიზეზი, რომ ეს კითხვა სასურველად არ გადაწყდა.

არც დრო და არც ადგილი ნებას არ გვაძლევენ გავსინჯოთ ყველა ის შემცდარი ცნობები, რომელნიც მოთავსებულია ბ. სარუხანის წერილში. მაგრამ ზოგიერთი ამ ცნობათაგან იმდენად შემცდარია, რომ უსათუოდ ითხოვს განხილვას. სარუხანს უტყუარად მიაჩნია პირველად, ვითომ საქართველოს ქალაქების უმეტესი მცხოვრებნი იყვნენ სომხები და მეორედ ის, რომ კათოლიკეთა აღსარების ქადაგება გავრცელებული

---

[4]) კაპუცინებს, ფიქრობს ბ. სარუხანი, აქვნდათ ეკლესია ქ. გორში 1640 წ. მაგრამ ამ წელში გორში იყვნენ არა კაპუცინები, არამედ „თეათინტები“ და „ავგუსტინეტი“. უკანასკნელნი მოვიდნენ საქართველოში ხვარსეთიდამ საქართველოს დედოფლის—მოწამის ქეთევანის წმ. ნაწილების მოსვენების დროს.

იყო მხოლოდ ქალაქებში. ეს ბ. სარუხანის აზრით „შეურყეველი ფაქტები“ სრულიად მოკლებულნი არიან ჭეშმარიტებას.

ბ. სარუხანი, ეხება რა ჩემს წერილს „სომხების მდგომარეობა საქართველოს სამეფოში“ და პლატონ იოსელიანის „ქალაქები, რომელნიც არსებობდნენ საქართველოში“, სხვა მოწმობათა ერთად, გამოჰყავს, რომ ქალაქები სავსენი იყვნენ სომხებით ჯერ კიდევ მე-V საუკუნეში. ავტორს ძლიერ დიდი დასკვნა გამოყავს იმ განცხადებისაგან, რომ სომხებმა იწყებს გადმოსახლება საქართველოში ჯერ კიდევ მე-V საუკუნიდამ. ებრაელების გადმოსახლება საქართველოში იწყება რამდენიმე ხნით ადრე ქრისტეს დაბადებამდე და ამის შესახებ არა ერთ გზისაა ნათქვამი, მაგრამ დღემდე ჯერ არავის მოსვლია თავში ეთქვა, რომ ძველი საქართველოს ქალაქების უპირატესი მცხოვრებნი იყვნენ ებრაელნიო. მცირე რიცხვი სომხებისა და ებრაელებისა მოდიოდნენ საქართველოში ძველის დროიდამ, ხოლო ძლიერი გადმოსახლება სომხებისა იწყება XVII საუკუნიდგან შაჰ-აბასის და შაჰ-ნადირის დროიდგან. შემდეგში მეფე ირაკლიმ გადმოასახლა სომხები ერევნიდამ, ხოლო ამ საუკუნის დასაწყისში გრაფმა პასკევიჩმა მოუწოდა სომხებს საქართველოში ერზერუმიდამ. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, სომხები არას დროს არ ყოფილან იქ ბევრი. არიან ქუთაისის გუბერნიაში ქალაქები, სადაც სომხები იყვნენ და დღესაც არიან ძლიერ მცირე ნაწილი 1% [5]). მაშასადამე, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ „კათოლიკეთა აღსარებაზე მოქცეულნი თითქმის ყველანი ქალაქების მცხოვრებნი იყვნენო და საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა უმეტესობას სომხები შეადგენდენო?!

ს. ხახანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

5) სია მოსწავლეთა რომის კოლეგიუმში ამას საკმაოდ ამტკიცებს.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქუთაისში 15 დეკემბერს 1900 წ.

გაგრძელება *)

18 დეკემბერს სამღვდელოების კრებამ განიხილა წინადადება ქუთაისის ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის სამართველოისა სასწავლებლის დღევანდელ მდგომარეობაზე და მოსაზრება ამავე სამმართველოისა შესახებ სასწავლებლის გაყოფისა. მოხსენება სასწავლებლის სამმართველოისა მეტისმეტად გრძელი და ვრცელი იყო და დიდი დროც მოითხოვა მისმა წაკითხვამ. სასწავლებლის მოხსენება ატყობინებდა სამღვდელოებას, რომ შენობა სასწავლებლისა მეტის მეტად უვარგისია, ძირა სართულში, სადაც მოსამზადებელი კლასებია, ოთახები ნესტიანია და სინათლე მარტო ერთი გვერდიდან ანათებს ოთახებში, ფანჯრები თითქმის ყველა ოთახებში ვიწროა და არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებს პედაგოგიურ მოთხოვნილებას, „კორიდორი“ ოთახებ შიგნით არის და გრძელ კორიდორს შაგირდების გასასეირნებლად მარტო ერთი ფანჯრიდგან შემოდის სინათლეო. როცა ფანჯარა აქვს გაღებული ამ კორიდორს, გამსჭვერი ქარი ჰქრის და ეს მავნებელია მოწაფეთა ჯანთმრთელობისათვისო. სასწავლებლის კედელი გახსნილია და მისი რიგიანად დამაგრება დიდ ხარჯს ითხოვსო. ფეხის ადგილი არის მეტის მეტად შეუფერებელ ადგილას და რადგან არ იწმინდება, მეტის-მეტი ცუდი სუნი ტრიალებს სასწავლებლის ეზოში სამხრეთის მხრითო. მოხსენებას დაუწუნებელი არ დაუტოვებია არც სასწავლებლის საავადმყოფო. რაიცა შეეხება სასწავლებლის ეკკლესიას, ის ხომ სულ უვარგისად ჩაუთვლია. სასწავლებლის სამმართველოის ანგარიშში იყო დაწვრილებით მოყვანილი ხუროთ მოძღვრების აზრი სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ. სინოდალნი კანტორის ხუროთ-მოძღვარი, ბ. ბილფელდი ამტკიცებდა, რომ სასწავლებლის მდგომარეობა მაგდენად საშიში არ არისო და არც ეკკლესია არის მაინც და მაინც ისე საშიშო მდგო-

*) იხ. „მწყემსი“ № 3. 1901 წ.

მართობაში, რომ იმაში სიარული და მღვდელ-მოქმედების შესრულება არ შეიძლებოდესო. ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს მხრით დანიშნული სამი ხუროთ-მოძღვარი, რომელნიც სასწავლებლის სამმართველოს თხოვნით იქმნენ დანიშნულნი, ამტკიცებენ, რომ აღმოსავლეთით სასწავლებელს შენობა უნდა გაუკეთდეს, რომ ეს კედელი დამაგრდესო და ამ ახალს შენობაში მოთავსდება ეკკლესიაცაო. ამასთან მოსამზადებელი კლასებისათვის უთუოდ ცალკე ფლიგელი უნდა აშენდესო და ხარჯი ამ ორი შენობისათვის თითქმის სამოცი-ათას მანეთზე მეტი ითხოვებოდა. ამისათვის სასწავლებლის სამმართველო ურჩევდა სამღვდელოებას, რომ ეს სასწავლებელი გაეყო და ამ შენობათა ხარჯიდან თავი განეთავისუფლებინა, რადგან თუ სასწავლებელი გაიყო, მაშინ აღარც მოსამზადებელი კლასები იქნებოდა საჭირო და ერთ ეკკლესიაში ადვილად მოთავსდებოდენ დანარჩენი მოსწავლენი. მაშინ ზედამხედველებს და ზოგიერთ მასწავლებლებსაც ბინა სასწავლებელში ექნებოდათო. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი უნდა გადაკეთდეს, ეკკლესიაც უნდა აშენდეს და მოსამზადებელი კლასებისთვის ცალკე ფლიგელიც უნდა გაკეთდესო...

კრებამ, როგორც იქნა, ერთ სხდომაზე მოისმინა ეს გრძელი მოხსენება. ჩამოვარდა სიჩუმე.

თავსმჯდომარე. რას ბრძანებთ, მამანო დეპუტატნო, ამ მოხსენების შესახებ? რომ წესიერება იქნეს დაცული, გთხოვთ გვიბრძანოთ ვის გნებავს ამ კითხვაზე ლაპარაკი, მე დავნიშნავ მათ სახელს და მერე რიგისამებრ ბრძანეთ.

დაინიშნენ რამდენიმე დეპუტატები და რიგზე იწყეს სიტყვა.

დეკ. დ. დამბაშიძე. ნეტავი იმ დეპუტატს, რომელიც ამ კრებაზე პირველად ესწრება და არ იცის ამ სასწავლებლის ძველი დროის ყველა თავ-გადასავალი! ნეტავი იმას, რომელმაც არ იცის არც ამ სასწავლებლის გადაკეთ-გადმოკეთება, არც ფეხის-ადგილის და საავადმყოფოს სახლების აშენების ისტორია და მათზე მოხდენილი ხარჯი და სხვანი; ასეთი დეპუტატები გულ-გრილად მოისმენენ ამ უშველებელ მოხსენებას, ამ ჩვენი ერთად ერთი სასწავლებლის სხვანაირად გადაკეთების შესახებ. მაგრამ მე უნდა მოვახსენო კრებას, რომ სასწავლებლის მოხსენებამ მეტის-მეტი ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ამ მოხსენებამ მე მომაგონა ის დრო, როცა ჩვენ მოსამზადებელი კლასებისათვის ორი ათას მანეთად ცალკე შენობას ვაკეთებდით სასწავლებლის ეზოშივე და სამუდამოთ უზრუნველი ვიქნებოდით. მაგრამ მაშინ არ დაგვიჯერეს, სამღვდელოების კრების აზრის და გარდაწყვეტილების წინააღმდეგ ოთხი სადუქნე ოთახი დაგვაქირავებინეს სილაზე, ქუთაისის საპატიმრო სახლის ახლო სამი წლით ათას რვაას მანეთად. ამ ნაირად ჩვენი ფული თითქმის აჩუქეს ერთ პირს! ნაცვლად იმისა, რომ შეცდომა გაესწორებინათ, არ დაუჯერეს სამღვდელოებას, გამოუთხარეს ძირი სასწავლებელს და აქ გამოაშენეს მოსამზადებელი კლასებისათვის ოთახები ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სარდაფები. ფიქრობდენ, რომ სამღვდელოებას დიდი საქმე გაუკეთეს, მაგრამ ამ შენობის გაკეთებით და სასწავლებლის საფუძვლის გამოთხრით, სასწავლებლის კედელი გასქდა და შეინძრა და იმან კარგა ზარალი მისცა სასწავლებელს და ეხლაც კიდევ მეტი ეთხოვება. სამღვდელოების აზრის წინააღმდეგ დაიწყეს და გააკეთეს ფეხის-ადგილი. ხუროთ მოძღვარის აფიშკოვისათვის ცოტა ფულები არ მიუციათ ამ ფეხის ადგილის გაკეთებისათვის და სამმართველოს პირობაც ჩამოურთმევია, რომ თუ ეს ფეხის ადგილი არ გამოდგეს, ან ქალაქის თვით-მმართველობამ დაგიწუნოსთ და მილის გაყვანის ნება არ მოგცესთ, ამდენი და ამდენი ფულები, ხარჯი და ზარალი მე გიზღოთო. ეს ხელწერილი დღესაც ხელში უკავია სასწავლებლის მმართველობას, მაგრამ რა გამოუდისთ? სრულებით არაფერი. რამდენი ზედამხედველი მოვიდა თავისი ხუროთ-მოძღვრობა სწორედ სასწავლებლის საავადმყოფო სახლის აშენებაზე გამოიჩინა, ერთი ზედამხედველი რომ გააკეთებდა, მეორე სულ სხვანაირად აკეთებდა და ახლა არც ერთის გაკეთებული აღარ გამოდგა. მოხსენებას სამღვდელოება გამოჰყავს თითქმის დამნაშავედ, როდესაც ყველა ის, რაც გაკეთებულა ცუდათ, სამღვდელოების უნებურად კეთდებოდა მისი ხარჯით და დღეს კიდევ წინადადება ეძლევა კარგად არ გაგიკეთებიათ და ეხლა ხელ-ახლა გააკეთეთო. ფანჯრები ვიწრო აქვს და არ ვარგაო და არც კარიდორი უვარგაო. მოხსენების დამწერთ არ იციან ალბათ, რომ სასწავლებლის სახლის გეგმა სინოდისაგან არის შედგენილი, დამტკიცებული ღ მოწონებული და არა ჩვენგან. ამისა-

თვის, ნაკლულევანება თუ რამეა აქ და ცუდათ არის გაკეთებული, ეს ჩვენი ბრალი კი არ არის, არამედ იმათი ბრალია, რომელთაც სამღვდელოების დაუკითხავად გააკეთეს და გააფუჭეს.

რაიცა შეეხება სასწავლებლის გაყოფას, მაგაზე თეითონ მე აღმიძრავს კითხვა ბევრჯერ, მაგრამ ამ კითხვის რიგიანად გადაწყვეტას არა ეღირსა რა. ამ კითხვის გადაწყვეტა კრებაზე ძნელია. ეს კითხვა ყოველის მხრით უნდა იქმნეს შემუშავებული კომისიისაგან. მე ვფიქრობ, რომ გადაკეთებას და ახალ შენობათა საქმეებს რომ სამღვდელოების კრება კამისიას მიანდობდეს, უმჯობესი იქნება. როცა კამისია ყველა საჭირო ცნობებს შეჰკრებს, მოწვეული იქნება საგანგებო კრება და მაშინ შეიძლება გადაწყდეს სასწავლებლის გაყოფა".

მოითხოვეს სიტყვის თქმა სხვა დეპუტატებმაც, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ეს ჩვეულებად აქვსთ ზოგიერთ დეპუტატებს, საგანზე კი არ დაიწყეს სიტყვა, არამედ კრიტიკულად გაარჩიეს დეკ. დ. ღამბაშიძის სიტყვები. დიდის ჭაპან წყვეტით ამტკიცებდენ, რომ ფანჯრები სასწავლებელს არ უგარგა და ძირა სართულში ოთახები მოსამზადებელი კლასების მართლა არ ვარგაო და სხვა ამისთანაები. ამ უბრალო პოლემიკურმა ლაპარაკმა ძლიერ ბევრი დრო დააკარგვინა კრებას.

დეკ. დ. დ—ძე. იმ ნაირი სჯა, როგორსაც ჩვენ ამ კრებაზე ვისმენთ, არავითარ ნაყოფს არ მოიტანს. მეც ვეთანხმები მამა მჭედლიძეს და ზოგს სხვებსაც, რომ უკეთესი იქნება სასწავლებლის სახლი დიდი და ფართო ფანჯრებიანი და პედაგოგიის მოთხოვნილებისამებრ მოწყობილი იყოს. მაგრამ გვაქვს შეძლება ამისთვის? ამას წინეთ ფული რომ არ იყო, მოსამზადებელი კლასების ხარჯი მთლად იმ მოსწავლეთა მშობლებს დავაკისრეთ, ვინც მათში სწავლობდა. ჯერ წყარო უნდა გამონახოს კაცმა გადაკეთებისათვის საჭირო ხარჯის დასაფარავად და მერე ვიწრო კარები და ფანჯრები გააფართოვოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთები ილაპარაკებენ იმ დრომდე, სანამ არ დაიღლებიან და სხვათაც არ დაღალვენ და ბოლოს გადაკეთებაზედაც და გაყოფაზედაც უარს იტყვით და ამით გათავდება საქმე.

ამ სიტყვის შემდეგ დეკ. დ. ღამბაშიძეს სრულებით აღარ მიუღია მონაწილეობა კრებაში ამ კითხვის შესახებ. დიდი ხნის ბაასის შემდეგ, ეს კითხვა მეორე დღისათვის გადიდვა.

მეორე დღეს კიდევ ამავე საგანზე დიდხანს ჰქონდა ბაასი კრებას, მაგრამ სამმართველოს წინადადება შემდეგი კრებისათვის გადიდვა გადასაწყვეტად. სამღვდელოების მომავალ კრებამდე ყოველივე ისე დარჩეს, როგორც დღეს არისო. სამწუხაროდ დროც ბევრი დაიკარგა და არც არაფერი გაკეთებულა.

დეკ. დ. ღამბაშიძე თავის აზრზე დადგა და არ მიემხრო კრების აზრს. მოგვყავს აქვე ზოგიერთი ადგილი მის მოსაზრებათაგან, რომელნიც მან მათ მეუფეს წერილობით მიართვა: „იმერეთის ეპარქიაში, ოთხ მაზრაში მხოლოდ ერთად-ერთი ოთხ-კლასიანი სასწავლებელია, როდესაც სხვა ეპარქიებში თითოეულ მაზრაში თითო ასეთი სასწავლებელია. რასაკვირველია ბევრი იქნება მოსწავლენი სასწავლებელში, როცა ოთხი მაზრის სამღვდელოებას აქ მოჰყავს ბავშვები სასწავლებლად. ეს კიდევ არაფერია. აქ მოსამზადებელ კლასებში სამასი ბავშვია. მოსამზადებელი კლასების შენახვა ან მათი სრულებით დახურვა სამღვდელოებაზეა დამოკიდებული. ჩვენ რომ მოსამზადებელი კლასების შენახვა არ გვაწუხებდეს, მაშინ სასწავლებელს ადვილად მოუარდით, მაგრამ მოსამზადებელი კლასები მთელს სასწავლებლის საქმეს აბრკოლებენ. სამღვდელოებას ჰგონია, რომ იგი მოგებულია მოსამზადებელ კლასში ბავშვის მიცემით. ბევრად იაფად დაუჯდება ბავშის გარედ მომზადება, ვინემ სასწავლებელში. სამღვდელოებამ უთუოდ უნდა მოიფიქროს მოსამზადებელი კლასების შესახებ. ჩვენის აზრით ბევრად აჯობებს მოსამზადებელი კლასები გავხსნათ რაჭისა და შორაპნის მაზრებში. შენახვა ამ სკოლების, თუ მათ თავის ხარჯზე გახსნის სამღვდელოება, ბევრად ნაკლები დაჯდება, ვინემ ეხლა ჯდება იგინი. მაგრამ ყოველივე შემთხვევაში საჭიროა კამისიის დანიშვნა, რომელსაც ექმნება მინდობილი გამოკვლევა ყველა კითხვებისა შესახებ ამ სასწავლებლის გაყოფისა და ან მოსამზადებელი კლასების გადატანისა მაზრებში და სხვანი".

დამსწრე.

(გაგრძელება იქნება).

† თავადი რაფიელ დავითის ძე ერისთავი.

კიდევ ერთი მოღვაწეთაგანი მოაკლდა ქართველ მწერალთა გუნდს. თავადი რაფიელ ერისთავი გარდაიცვალა 19 თებერვალს. განსვენებული დაიბადა 1824 წელში 9 აპრილს, მაშასადამე ის გარდაცვლილა დაბადებიდგან 78 წლისა. განსვენებული თავისმა მშობლებმა პირველად სასწავლებლად მიაბარეს შიო-მღვიმის მონასტერში. შემდეგ რუსული ენის სასწავლებლად მიაბარეს იგი გორში ერთ რუსის მოხელეს. ბოლოს ყმაწვილი თბილისის კეთილ-შობილთა დღევანდელს პირველ კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს სასწავლებლად. განსვენებულმა დაასრულა სწავლა ამ სასწავლებელში, მაგრამ თვალების სნეულებისა გამო მალალ სასწავლებელში აღარ წასულა და შევიდა იგი სამსახურში. პირველად დაინიშნა თარჯიმნად თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის სასამართლოში და ამ ადგილზე ორ წლამდე იმსახურა. ამ დროიდგან გამოიჩინა რაფიელმა ლექსების წერის ნიჭი. თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან თბილისში გადმოვიდა რაფიელი და მთავარ-მართებლის კანცელარიაში შევიდა მოსამსახურედ. აქ ორ წლამდე თავად ბებუთოვის ხელ-ქვეშეთ სტოლის უფროსად იყო. თფილისიდან ქუთაისში გადავიდა სამსახურში, სადაც ამ დროს გუბერნატორად იყო რაფიელის კარგი ნაცნობი თავადი ივანე მუხრანსკი. თ. ივანე მუხრანსკის შემდეგ გუბერნატორად დაინიშნა კოლუბიაკინი და ამან უმეტესი ყურადღება მიაქცია რაფიელ ერისთავს, როგორც ნიჭიერ კაცს. ბოლოს რაფიელი დაინიშნა ზუგდიდის მაზრის უფროსად. რაფიელი თანამდებობას ხშირად იცვლიდა. როცა ახალი სასამართლოები გაიხსნა, მაშინ ქუთაისის მომრიგებელ-მოსამართლედ დაინიშნა და ამ თანამდებობაზე მსახურებდა 1870 წლამდე. 1870 წლიდან თ. რაფიელი თფილისში ვექილობდა 1881 წლამდე. ბოლოს ვექილობასაც თავი დაანება და აღარსად არ მსახურებდა. მაგრამ ეკონომიურმა მდგომარეობამ მაიც აიძულა იგი, რომ ამ ბოლოს დროს სამსახურში შესულიყო და ქართული ენის ცენზორობა აირჩია და დაინიშნა კიდეც ლუკა ისარლოვის შემდეგ. ამ თანამდებობას, დიდი ხანია, რაც განსვენებულმა თავი დაანება და პენსიით სცხოვრებდა დღემდე. თ. რაფიელ ერისთავი სამსახურის დროს არ ანებებდა თავს ლიტერატურულ მოღვაწეობას. მისი კალამი სალიტერატურო შრომისა და წერისათვის არ სოდეს არ შეჩერებულა. სხვა-და-სხვა თანამდებობის აღსრულების დროს ის ყოველთვის იცლიდა წერისათვის და ნიადაგ სამსახურს უწევდა სამშობლოს. ლიტერატურული შრომითა და მოღვაწეობით რაფიელ ერისთავს ჩვენში თითქმის ყველა იცნობს და ამიტომ საჭიროდ აღარ ვთვლით მისი ნაწარმოების ჩამოთვლას. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, ერთგულო მამულის შვილო!..

† მღვდელი პეტრე ჩარგეიშვილი.

31 იანვარს ამა წლისა გარდაიცვალა მოძღვართ-მოძღვარი, შტატ გარეშე მყოფი, სოფელ კონთუათის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელ მამა პეტრე ჩარგეიშვილი და სამ თებერვალს დაასაფლავეს; განსვენებული შობიდამ იყო 78 წლისა. მიუხედავად იმისა, რომ ამინდი ცუდი იყო განსვენების დღეს, ხალხი ბლომად დაესწრო. მრევლმა ნიშნად პატივის ცემისა გვირგვინი უძღვნა თავის მოძღვარს. ბევრი ცრემლი დაიღვარა განსვენებულის დასაფლავებაზე. დამსწრე ხალხი გულ-მომწვავად სტიროდა. ეტყობოდა, რომ მამა პეტრეს სიყვარული და პატივის ცემა ჰქონდა დამსახურებული მრევლისაგან თავისი სიმართლით და პატიოსნებით. და, მართლაც, მამა პეტრე თავისი სიმართლით, თავისი მუშაობით და პირდაპირი ხასიათით ცნობილი იყო და სასულიერო მთავრობასაც იგი ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოებული ჰყავდა ნაბედრენიკითა, სკუფიითა, კამილავკითა და მკერდის ოქროს ჯვრითა; ბოლო ორმოცდა ათი წლის უბიწო სამსახურისათვის მღვდელობის ხარისხში იგი დაჯილდოვებულ იქმნა ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენითა.

მშვიდობით, მამაო პეტრე! შენს სახელს ყოველთვის მწუხარებით და პატივის ცემით მოიხსენებს ყველა ის, ვინც შენ გიცნობდა. მშვიდობით, საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო მღვდელო და დაუღალავო მუშაკო!..

იოსებ ათ. ლომია.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ირლანდიურ ჟურნალ „ირიმ ფრიმანა“-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობები შესახებ სამხრეთ-აფრიკის ომისა:

„ინგლისი ისეთი სვავი იყო, რომელიც აქამდე ჯერ ათჯერ გაზომავდა ხოლმე ძვალსა და მერე ისე ჰყლაპავდა. მაგრამ რამდენიმე ხანია მას აქეთ, რაც ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩემბერლენს და მის მომხრეებს ჩაუვარდათ ხელში. ინგლისმა ხელი აიღო ამ ჩვეულ სიფრთხილეზე და გაუზომავად მოინდომა სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების გადაყლაპვა. ეგონა, რომ ერთი ყლაპით მოუღებდა ამათ ბოლოს, მაგრამ ძვალი ყელზე დაადგა და ისე მაგრადაც დაადგა, რომ ლამის დაახრჩოს. რასაკვირველია, რომ გაჭირვეულდეს ეს დიდი სვავი, ბოლოს და ბოლოს, გადაჰყლაპავს ბურებს, მით უმეტეს, რომ ევროპის სხვა დიდი სვავებიც ყურს არ იბერტყენ ამ ინგლისელი სვავის უდიერ ქცევის გამო; იმათ თითონაც ბევრი ამნაირივე საქმეები აქვთ თავში საცემად გამხდარი და სადა სცალიანთ საიმისოთ, რომ ვიღაცა ბურებს უშველონ; ასე რომ ბურებს მხოლოდ თავიანთი იმედიღა უნდა ჰქონდეთ. თუმცა ბურებმა ბევრი სასწაული მოახდინეს, მაგრამ ჩვენ მაინც იმედი არა გვაქვს, რომ იმათ საბოლოოდ გაიმარჯვონ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მალე გათავდება ეს უმაგალითო ბრძოლა პაწია ერისა დიდ, მძლავრ ინგლისთან—თუ არა? ინგლისურის ცნობების მიხედვით, საცაა ბოლო უნდა მოეღოთ ბურებს, მაგრამ ასეა ნამდვილად? ჯერ კიდევ საბედნიერ-დღეოდ ჩემბერლენი თავისი დამქაშებით დეპეშებს დეპეშებზე უგზავნიდა ლორდს კიტჩენერს, რა დაგემართა მტრის გულისად ნუ გვხდი, ერთი მაინც გაიმარჯვეო; ხოლო ამ მტრების რიცხვს, როგორც ვიცით, შინ თუ გარედ, თვლა არა აქვსო. გარეშე მტრები, სწორედ უნდა ვაღიაროთ, უძლურები გამოდგნენ. წელიწად-ნახევარია, რაც ჩურ-ჩურ-კურკული აქვთ—ამ ზღვის ლომს, დროა, ეჟვანი შევაბათო, მაგრამ აქნობამდის შემბმელი არავინ გამოსულა. ინგლისის მთავრობა უფრო შინაურ მტრებს ერიდება. მართალია დიდი უმეტესობა ჰყავს პარლამენტში, მაგრამ ვინ იცის, რას იხამს ეს უმეტესობა, როცა ღაიწყება კამათები 1901 წლისათვის საჭირო ხარჯების შესახებ, მეტადრე მაშინ, როდესაც მთავრობა მოითხოვს ახალს ხარჯს, როგორც ამბობენ, 70 მილიონ გირვანქა სტერლინგს, სამხრეთ-აფრიკის ომის ვითომ და დასამთავრებლად. ბოლო დროს ისე მიდიოდა ამ ომის საქმე, რომ სწორედ არავის სჯეროდა, ექნება მას როდისმე დასასრული თუ არა. აი სწორედ პარლამენტის დასარწმუნებლად, რომ ომი მალე იქნება გათავებული, რომ ბურები უკანასკნელს დღეში არიან, იგზავნება ამ ბოლო დროს გამოცხადებული დეპეშები, გამარჯვება თუ ძნელია, დეპეშის შედგენა ხომ ადვილია და ჩვენ ხელთაც არისო. გასინჯეთ და დაუკვირდით დეპეშების შინაარსს: ბურებს ამდენ-ამდენი ცხვარი, ძროხა და ხარი წავართვითო. განა ბურები მწყემსები არიან? რად უნდა დევეტს ან ბოტას 155 ცხვარი? შემდეგ, დევეტს 300 კაცილა დარჩაო, დანარჩენი რაღა იქნა, ამაზედ დეპეშა აღარას ამბობს. დამარცხებაზედ ვერას ვიტყვით, რადგანაც დევეტი და ბოტა ხომ ნიადაგ დამარცხებულები არ იქნებიან. მაგრამ ბოტასაგან მორჩილების გამოცხადება დასაჯერი არ არის, სინამ ინგლისის მთავრობა ოფიციალურად არ გამოაცხადებს ამ ცნობას. დევეტის შესახებ ბევრჯელ უარესი დეპეშებიც მოსულა, ის სამჯერ მოკლეს კიდეც, მაგრამ ნამდვილად დევეტი დღესაც ცუდ დღეს აყენებს ინგლისელებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დევეტი თავის რაზმით ჯერ კიდევ ბევრჯელ აძახებინებს ინგლისელებს: „ატატა“, სული მოვიდა ყელშია“. ომის გათავებას ნურავინ ახსენებს, სანამ პრეტორიას ახლოს შესაძლებელი იქნება მთავარ სარდლის მატარებლის აფეთქება და იმისი ბაგაჟის წართმევა და სინამ დევეტს თავის რაზმით სულ მთლად ხელში არ ჩაიგდებენ. ასეა თუ ისე, ომს ჯერ კიდევ დასასრული არ უჩანს; ჯერ კიდევ ბევრი გირვანქა სტერლინგი წაუვა ინგლისს ამ ომზედ და ჯერ კიდევ ბევრი ინგლისელი გამოესალმება წუთი-სოფელს სამხრეთ-აფრიკაში.

—

ოთხშაბათს, 14 თებერვალს, მთხოვნელების მიღების დღეს, მინისტრი მივიდა სამინისტროში პირველ საათზე და შევიდა თავის კაბინეტში. მისაღებ ზალაში კარგა ძალი ხალხი იყო. მიმდინარე საქმეების მოსმენის შემდეგ მინისტრი გამოვიდა ზალაში, ჩამოუარა მთხოვნელებს და თითოეულ მათგანს გამოელაპარაკა. მინისტრს უკან მოსდევდა მორიგი მოხელე. ზალის კარებთან იდგა ეკზეკუტორის თანაშემწე, კაბინეტის კარებთან ორი კურიერი. როცა ბ. ბოგოლეპოვი ერთ მთხოვნელთაგანს ელაპარაკებოდა, ეკზეკუტორის თანაშემწესთან მივიდა ღარიბად ჩაცმული ახალ-გაზდა კაცი, უწოდა თავის თავს კარპოვიჩი და თქვა, რომ მას სურს მისცეს მინისტრს თხოვნა შესახებ ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში შესვლისა და აუხსნას მას პირადად თავის საქმის გარემოება. ამის შემდეგ იგი შეუშვეს ზალაში და გვერდით დაუდგა ჩერნიგოვის ქალაქის თავს ბ. რუდინს. მინისტრი მივიდა რუდინთან და დიდ ხანს ელაპარაკა მას. კარპოვიჩი ამ დროს რუდინის ზურგს უკან იდგა და, გარეგანის შეხედულებით, ყურადღებას სრულებით არაფერს აქცევდა. როდესაც მინისტრმა გაათავა ლაპარაკი რუდინთან, გამოეთხოვა მას და აპირებდა კარპოვიჩთან მისვლას, კარპოვიჩმა რევოლვერი გაისროლა. ტყვიამ რუდინს ყურთან გაუარა. მინისტრი, რომელიც სულ ახლო იყო კარპოვიჩთან, წაბარბაცდა და წაიქცა: ტყვია კისრის მარჯვენა ნაწილში მოხვედროდა. ასტყდა ალიაქოთი. მინისტრის მოკვლის განზრახვა უცბად შეიტყო მთელმა სამინისტრომ. გულ-შეწუხებულ მინისტრს მისცვივდნენ ზალაში მყოფნი და აგრეთვე მინისტრის ამხანაგი დი დეპარტამენტის დირექტორი, რომელნიც რევოლვერის დაცლის დროს ახლო კაბინეტებში იყვნენ. დამსწრეთა შორის აღმოჩნდა ორი ექიმიც —ზალესკი და სოლოვიოვი, რომელთაც აღმოუჩინეს მინისტრს პირველი შემწეობა.

მინისტრი ფრთხილად აიყვანეს და გადიტანეს მის კაბინეტში- სადაც იგი დააწვინეს დივანზედ. ხირურგები ტელეფონით მიიწვიეს. დამნაშავე შეიპყრო ეკზეკუტორის თანაშემწემ, რომელსაც გამოუცხადა, რომ მას იარაღი არ აქვს, მართლაც მას ვერაფერი იარაღი უპოვნეს, რადგან რევოლვერი იქვე იატაკზედ ეგდო მის თხოვნასთან ერთად. როგორ გაისროლა რევოლვერი, არავის დაუნახავს, რადგან მის წინ ჩამოფარებული იყო მოხელე, რომელიც მინისტრს უკან მოსდევდა. ეს ამბავი მაშინვე აცნობეს ტელეფონით შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს. ამასობაში მოვიდნენ ექიმებიც— ზვორიკინი, სკლიფასოვსკი, ცეიდლერი, ბრაჟნიკოვი და სხვები და შეუხვიეს მინისტრს ჭრილობა. უახლობელეს სასანიტარო პუნკტიდან მოიყვანეს სასანიტარო ეტლი და ავადმყოფი წაიყვანეს სახლში ნაშუადღევის ხუთ საათზე.

—

უწმიდესმა სინოდმა მართლ-მადიდებელ ეკლესიის სამწყსოსადმი მზრუნველობით გამსჭვალულმა, რათა დაიფაროს სულიერნი შვილნი ეკლესიისანი მავნე გავლენისაგან და დაუბრუნოს მართლ-მადიდებელთა ოჯახს ცუდ მხარეზე მიმართულნი, იქონია მსჯელობა ლევ ტოლსტოისა და მის ცრუ და ქრისტიანობის წინააღმდეგ მოძღვრობის შესახებ და სცნა საჭიროდ ეკლესიის მყუდროების დასაცველად, გამოაქვეყნოს „საეკლესიო უწყებებში“ ეპისტოლე, რომელშიაც ჩამოთვლილია გრაფი ტოლსტოის ცრუ მოძღვრებანი და ბოლოს ნათქვამია: „გრაფმა ლევ ტოლსტოვმა განუწყვეტლივ, სიტყვით თუ წერით, მთელის მართლ-მადიდებელ საქრისტიანოს შესაცდენად და შესაძრწუნებლად, არა ფარულად, არამედ აშკარად, საყოველთაოდ, შეგნებით და განზრახ უარ ჰყო ერთობა თვისი მართლ-მადიდებელ ეკლესიასთან და ყოველივე ცდამ მისის შთაგონებისათვის ამაოდ ჩაიარა. ამისათვის უწმიდესი სინოდი აღარა სთვლის მას წევრად მართლ-მადიდებელ ეკლესიისა, ვიდრემდე ის არ შეინანებს თვის შეცდომილებას და არ შემოუერთდება კვალად მართლ-მადიდებელ ეკლესიას. უწმიდესი სინოდი, აცხადებს რა განრინებას ლევ ტოლსტოისას მართლ-მადიდებელ ეკლესიისაგან, ამასთანავე ლოცვით შესთხოხს უფალსა, რათა დააყენოს იგი გზასა შენანებისა და ჭეშმარიტებისასა; გევედრებით, უფალო, ნუ განურისხდები ცოდვილსა, შეიწყალე და დაუბრუნე იგი წმიდასა შენსა ეკლესიასა. ამინ“. ხელი მოაწერეს: ანტონმა, პეტერბურგის და ლადოგის მიტროპოლიტმა; ფეოგნოსტმა, გალიცისა და კიევის მიტროპოლიტმა; ვლადიმერმა, მოსკოვისა და კოლომენის მიტროპოლიტმა; იერენიმმა, ხოლმის და ვარშავის არქიეპისკოპოსმა; იაკობმა, კიშინევის და ხოტინის ეპისკოპოსმა; ეპისკოპოსმა მარკელმა და ეპისკოპოსმა ბორისმა

ახალი ამბები და შენიშვნები.

16 თებერვალს, ალექსანდრე ნეველის ტაძარში, პეტერბურგში, გადახდილი იყო პანაშვიდი საქართველოს უკანასკნელ მეფის გიორგი XIII-ს, დედოფალ მარიამის და გარდაცვალებულ ბატონიშვილების სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ ყოფილან: უგანათლებულესი თავადი ი. გ. გრუზინსკი მეუღლით, თ. ა. დ. ჭავჭავაძე, შვილის შვილი ბატონიშვილის ილიასი და ჩამომავალი საქართველოს ელჩის გარს. ჭავჭავაძისა, მარკიზი ალბული, შვილის შვილი ბატონიშვილის ოქროპირისა, თ. აბელიკ-ლაზარევი, ნათესავი საქართველოს ტახტის მემკვიდრის დავითის მეუღლისა, გ. პ. ერმოლოვი, ბატონიშვილის ილიას მეუღლის ნათესავი, თ. ფალავანდიშვილი, ჩამომავალი საქართველოს ელჩის ფალავანდიშვილისა და სხვები. პანაშვიდის შემდეგ უგანათლებულესმა თავადმა ი. გ. გრუზინსკიმ შეამკო გვირგვინით იმპერატორის პავლე პირველის საფლავი.

* *
*

საფრანგეთისა და იტალიის შემდეგ ამიერ კავკასიას პირველი ადგილი უჭირავს აბრეშუმის მოწევის საქმეში. 1899 წელს იტალიაში მოუწევიათ 3.363,000 კილოგ., საფრანგეთში—560,000 და ამიერ კავკასიაში 310,000 (1898-ში კი—230,000 ამიერ კავკასიამ გაასწრო ამ საქმეში ესპანიას, სადაც 1899-ში მოუწევიათ 224,000 კილოგრამმი.

* *
*

ჩვენ მივიღეთ საყმაწვილო ჟურნალ «ჯეჯილის" მეორე ნომერი შემდეგის შინაარსისა: 1) „დათვი", ნამდვილი ამბავი თ. რაზიკაშვილისა; 2) «მამაცი შაშვი», კახ-იმერელისა; 3) „ძველი მოურავი», ლექსი გ. ბოკერიასი; 4) «ლედი ჯენ.», მოთხრობა, თარგმანი ე. წერეთლისა; 5) „მადლობის გადახდა", რუსულიდან, ს. კაციშვილისა; 6) „ბეკიჩა და მისი ჯორი", გ. წყალტუბელისა; 7) «სამი არაყი და გონება», ლექსი ბაჩანასი; 8) «გიორგის საფლავზე», დასასრული, ეკ. გაბაშვილისა; 9) «წმიდა გუნდი», ი. გოგობაშვილისა, 10) «სპარსეთის მეფე კამბიზი», ყუმისთაველისა; 11) „მტრედის გამჭრიახობა'', ტასოსი; 12) ,,გასართობი" და 13) ,,წვრილმანი''.

* *
*

როგორც ამიერ კავკასიის რკინის-გზის ანგარიშიდან ჩანს, 1899 წელს რკინის გზას შემოსავალი ჰქონია 21,957,798 მ., დაუხარჯია 10,285,321 მ. წმინდა მოგება დარჩენია 10,573,070 მან.

* *
*

საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რეალურ სასწავლებლებში ინგლისური ენის სწავლება იქმნეს შემოღებული.

*
* *

ქუთაისის საკათედრო ტაძარში პანაშვიდი იყო გადახდილი მისი ყოვლად უსამღვდელოესობის ლეონიდისაგან მრავალი ხალხის თანადასწრებით, რაფიელ ერისთავის სული მოსახსენებლად. მათმა მეუფებამ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა თ. რაფ. ერისთავის მოღვაწეობის შესახებ, რომელმაც მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

*
* *

დ. ყვირილაში, 25 თებერვალს, თ. რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად შესრულებულ იქმნა წირვა და წირვის შემდეგ პინაშვიდი. ხალხი ბევრი დაესწრო.

* *
*

გამოცხადდა უწმ. სინოდის ნება-რთვა, რომ მესამე დიდ-მარხვის კვირიაკეს ლანგარით შეიკრიბოს შეწირულება ყველა ეკკლესიებში, მოურჩენელ სნეულთა და მახინჯთა სასარგებლოდ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

—

ხმა მაცხოვრისა ეკკლესიის მწყემსისადმი.

«სახე მიგეც თქვენ, რათა ვითარცა ესე მე გიყავ თქვენ, ეგრეთვე თქვენ-ცა ყოფდეთ". (იოან. 13,15).

გაგრძელება *)

თავი 4. სიმშვიდე.

1. დაამკვიდრე შენს გულში სრული სიმდაბლე. ამას შეუერთე სიმშვიდეც,—ეს საყვარელი და მა-



ღალი სათნოება. მრავალი მაგალითი გიჩვენე ამ სათნოებისა, რათა ამის მეოხებით ღრმად ჩაიბეჭდო სულში ამ სათნოების ცნობიერება და სიყვარული.

როდესაც იროდი მეძიებდა სასიკვდილოდ, მე ეგვიპტეში გაქცევით ვიპატივე თავის თავი, ე. ი. მშვიდი ხასიათის საშუალებით (იოსებ აღსდგა და წარიყვანა ყრმა იგი და დედაჲ მისი ღამე და წარ-ვიდა ეგვიპტედ" მატ. II, 19).

როდესაც ფარისევლები მეძებდენ სასიკვდილოდ, მე განვშორდი მათ სრული სიმშვიდით და სიწყნა-რით («ფარისეველთა ზრახვა ჰყვეს მისთვის, რათა წარსწყმიდონ იგი, ხოლო იესო გულის ხმაჰყო და განეშორა მიერ და წარვიდა»).

როდესაც სამარიტლებმა არ გამიღეს კარები, მოწაფეებს უნდოდათ, რომ სასჯელად მომევლინა მათთვის ზეციდან ცეცხლი, მაგრამ მე შევაყენე იგინი და უბრძანე, რომ ვერ იცნობენ ჩემი სულის სიმშვიდეს,—იმ სულისა, რომლითაც მსურდა მათი გამხნევებაც (ლუკ. 9, 51—56).

როდესაც ჩემთვის იტყოდენ, რომ ეშმაკეული არისო, მე სიყვარულით მიუგებდი, რომ არ ვიყავ ეშმაკეული («მიუგეს ურიათა და რქვეს: არა კეთი-ლად ვსთქუთა, ვითარმედ სამარიტელი ხარ შენ და ეშმაკი არს შენთანა? მიუგო იესო და რქვა მათ: ჩემთანა ეშმაკი არა არს" იოან. 8, 28, 29).

როდესაც ჩემზედ გარისხებულმა მტერმა დაჰკ-რიბეს ქვები და უნდოდათ ჩემი დაქოლვა, მე მხო-ლოდ ის ვიკმარე, რომ უხილავ შევიქენ, რათა მათ არ შესძლებოდათ თავიანთი ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანა. სულით დამშვიდებული წყნა-რად გამოვედი ეკკლესიიდან („აღიღეს ქვები ური-ათა რათა დაჰკრიბონ მას, ხოლო იესო დაეფარა და განვიდა ტაძრით" იოან. 8, 59).

დასასრულ მთელი ჩემი გრძნობები იუდას ამ-ბორებიდან დაწყებული ჯვარზედ სიკვდილის წუ-თამდე წარმოადგენდნენ ერთს განუწყვეტელ მაგა-ლითებს სიმშვიდისას.

2. ეცადე, რომ შეითვისო ჩემგან ეს მაღალი სათნოება. თუ ოდესმე გითხრას გულმა შეურაც-ყოფისთვის მაგიერის მიგება და მტერთა ჩაჩუმება, მოიგონე ჩემ მიერ მოცემული მაგალითები; საჯე და იხელმძღვანელე სიმშვიდით. ეცადე არ მოიშო-რო ფიქრიდან სიტყვები წინასწარმეტყველისა, რომ-ლებიც სთქვა ჩემ შესახებ: „აჰა ესერა ძე ჩემი, რომელიმე სათნო ვიყავ, საყვარელი ჩემი, რომელი სთნავს სულსა ჩემსა...

---

*) იხ. „მწყემსი" № 3 1901 წ.

ნურასოდეს ნუ დაივიწყებ ამ დიდ მაგალითს, მეტადრე მაშინ. როდესაც შენს თავ-მოყვარეობას შეეხებიან, ან მაშინ, როდესაც შენ წარმოდგენილი გაქვს, რომ შენზედ მოყენებულს შეურაცყოფას ვერ გადიტან შენი პატიოსნების შეულახავად.

იყავ მშვიდი ყოველ კაცთან, ნუ ბაძავ იმ ჩლუდლებს, რომლებიც მშვიდნი არიან ძლიერთა წინაშე, ხოლო მრისხანე წინაშე სუსტთა და ღარიბთა. სიმშვიდე ძლიერთა წინაშე, რომლის გეშინია, შეუფერებელი თავის თავის დამდაბლებაა. ხოლო შეუფერებელი თავის-თავის დამცირება მე მძაგს. მრისხანება წინაშე სუსტთა და ღარიბთა ჩემ მიერ დაისჯება („მე ვყოფ სასჯელსა გლახაკთა და სამართალსა დავრდომილსა» ფსალ. 139, 12).

თავი 5. სიმხნე სულისა.

1. სიმშვიდე შენი ყოველს შემთხვევაში არ უნდა ემსგავსებოდეს. სისუსტეს. მე ვარ კრავი ღვთისა (იოან. 1, 29), მაგრამ კრავსაც მაქვს გრძნობა მრისხანებისა (გამოცხ. VI, 16). ჩემ მსახურთაც უნდა ჰქონდეთ ეს თვისება, თუმცა მათ ვგზავნი „ვითარცა კრავთა მგელთა შორის», მაგრამ სასურველია, რომ ჩემდა მსგავსად იგინიც იყვნენ აღჭურვილნი ღვთაებრივი მრისხანებით.

მოიგონე, თუ როგორი მრისხანე თვალით შევხედავდი ორგულთა, რომლებიც ბრმად მეწინააღმდეგებოდენ. მე დავარქვი მათ «გველნი, ნაშობანი იქედნეთანი» (იოან. 23, 33). მე მათ ხშირად უსაყვედურებდი საჯაროდ: „ვაჲ თქვენდა მწიგნობარნო, ფარისემელნო, ორგულნო» (იოან. 23, 13—16).

მე აღვიჭურვებოდი ღვთაებრივი მრისხანებით იმ ცბიერთა ორგულთა წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ მათი გულის წყრომა ჩამექრო და არ შესძლებოდათ შეცდენა გულ-უბრყვილო ხალხისა. თქვენც ამ სახით მოიქეცით, მწყემსნო ეკკლესიისავ, იქონიეთ ზედ-გავლენა სიტყვის ძლიერებით მატყუარებზედ, რომლებიც ატყუებენ და ღუპავენ გულ-უბრყვილოთა სულიერებს. დაუცხრომლად უნდა სცდილობდეთ, რომ დაიცვათ ხალხი ცრუ მოძღვრებათა შხამისაგან.

მიუხედავად მისა, რომ გაბოროტებული ბრბო მოიწეოდა ჩემსკენ საწინააღმდეგოდ, მე მაინც უშიშრად და საჯაროდ ვაფრთხილებდი ხალხს: „ეკრძალენით მწიგნობართა მათ“ მეთქი (მარკ. 12, 38).

ხალხის შემაცდენელ ცბიერ მატყუარებს ჩვეულებად აქვთ, თავიანთი განზრახვის მისაღწევად უჩვენონ ხალხს ჩემი სიმდაბლე და სიმშვიდე. მათ სურთ, რომ ვერავინ ვერ გაბედოს მათი მოქმედების ჩაფუშვა. ხალხს ბოროტად აგონებენ ჩემს მოძღვრებას. ამ მიმართულების ხალხისა და მათი მოქმედების უყურადღებოდ დატოვება მიუტოვებელი ცოდვაა ჩემ მსახურთათვის. ამისათვის აღიმაღლეთ ხმა მათ წინააღმდეგ მამაცურად და სიმხნით. ნუ შეუდრკებით ნურც მათ საჩივარსა, ნურც მრისხანებას. მამაცად აღიჭურვეთ ხმლით ჩემს მოძღვრებისა და დაამარცხეთ ჩემი მტრები.

რა დიდი ბოროტება-უბედურებაა ქრისტიანობისათვის, როდესაც ჩემი ეკკლესიის მწყემსთ ეშინოდათ ცრუ სიმშვიდე ან უკეთ ვსთქვათ, სულ-მოკლეობა! სამარცხვინო სიმხდალე პირს შეუკრავს ჩემის მოძღვრების მქადაგებელთ. ნუ იყოფით ასე-

სამღვდელო მოსამსახურეთა სულ-მოკლეობით ვრცელდება თესლი დიდად სამწუხარო ცდომილებისა. ჩემის ეკკლესიის მწყემსთა სულ-მოკლეობით მყარდება და ძირს იდგამს ცრუ მოძღვრება ჩემს ყანებში.

ამ სულ-მოკლეობისა და სამარცხვინო სიმხდალისა გამო მუშაკნი ნიადაგს ამზადებენ, ხოლო მტერი კაცთა ნათესავისა სარგებლობს იმათი უდიერობით და სთესავს თვისს ღვარძლს (მაღ. 13, 25).

თავი 6. სიბრძნე.

1. მე გასწავლე მაგალითებით, რომ არ უნდა გეშინოდეს ცბიერ მატყუარებისა, რომლებიც ყოველს ღონისძიებას ხმაროობენ გულ-უბრყვილოთა სულების წასაწყმედელად. ყოველს შემთხვევაში ერთგულად ემსახურე ჭეშმარიტებას, რომელიც კი მიიღე ჩემგან.

თუ მიუცილებელია შენთვის ხალხის სიკეთისათვის ძლიერებისა და გულადობის გამოჩენა, და თითქმის საშიშროებაშიაც ჩავარდნა, იბრძოლე მამაცურად, ხოლო თუ შესაძლებელი იყოს ხალხის სიკეთის დაცვა უბრძოლველადაც, მაშინ ნუ იბრძვი უმნიშვნელოდ.

სანამ დადგებოდა ჟამი ჩემის წამებისა ურიები არა ერთხელ და ორხელ მეძებდენ მე სასიკვდილოდ; მე ეს კარგად ვიცოდი, და ამისათვის, როგორც ჩემი სახარება გეუბნება, იმ ხანებში აღარ მივდიო-

დი ურიათა ქვეყანაში („იქცეოდა იესო გალილიას, და არა უნდა მისვლად ურიასტანს, რამეთუ ეძიებდენ ურიანი იგი მოკვლად» იოან. VII, 1).

ასევე წინდახედულად ვექცეოდი ჩემ მორწმუნეთაც მათი ხასიათის სისუსტე და სიმჩატე მე კარგად ვიცოდი. თავის თავს ვერ ვანდობდი მათ («თვით იესო არა არწმუნებდა მათ თავით თვისით, რამეთუ ყოველთა იცოდეს იგი“ იოან. 2, 24). მოიგონე, რომ ჩემ მიერ მოცემულ მცნებათა შორის შემდეგიცაა: «იყვენით უკვე მეცნიერ, ვითარცა გველნი და უმანკო ვითარცა მტრედი» (მატ. 10, 16).

თუ გნებავს შენს პრაქტიკულ ცხოვრებაში ჩემ მიერ მოცემული სწავლა-დარიგების განხორციელება, ხალხში მოქმედების დროს თითოეულზე უნდა გქონდეს მოყვარული წარმოდგენა; მოეპყარ თითოეულს ისე, თითქოს უთუოდ ღირსი იყვეს შენ მიერ პატივის ცემისა. იყავ გულ-უბრყვილო, ვითარცა მტრედი. ხოლო მაშინ, როდესაც ვინმესთან შენი მსვლელობა-დამოკიდებულება საშიშია, იყავ მეტის-მეტად წინ დახედული, და ფრთხილი: „იყავ მეცნიერ ვითარცა გველი“.

ბოროტ ხალხს სწადია, რომ ყველა სამღვდელო-მოსამსახურე ემსგავსებოდეს გულ-უბრყვილობით მხოლოდ მტრედს, და მის ხასიათს სხვა თვისება არ ჰქონდეს. ცბიერნი ამ გვარ უბრალოებას იმიტომ ითხოვენ სამღვდელო-მოსამსახურეთაგან, რომ ადვილად შესძლონ მათი მოტყუება, ადვილად ამოქმედონ ივინი თავიანთი განზრახვის თანახმად, და დააყენონ ბოროტების გზაზედ. მე მნებავს, რომ ჩემი ეკკლესიის მწყემსი იყვეს კიდევ მეცნიერ ვითარცა გველი, და მოხერხებული, რომ ვიხვდეს მისი მტრის ბოროტ განზრახვას, და უკუაგდოს მისი იერიში.

იყავ ფხიზელ, მღვდელო! უკეთუ ეჭვი გაქვს იმ გვამის ნდობაზედ, რომელთანაც საქმე გაქვს, და როდესაც შენ კიდევ არ იცი სანდოა ის თუ არა, მაშინ ერიდე მას და ნუ გაანდობ ნურც შენი გულის და ნურც სხვის საიდუმლოს. უკეთუ დარწმუნებული ხარ, რომ გულ-ახდილობა ავნებს კეთილს საქმეს, მაშინ ნუ გაუმხელ ნურც კეთილ განზრახვას, რომელიც აცხოველებს შენს სულს, და ნურც კეთილს გარდაწყვეტილებას შენსას. მე ვითხოვ შენგან წინდახედულ, ბრძნულ, მეცნიერულ უმანკოება-გულ-უბრყვილობას,—იმ უმანკოებას, რომელიც ბოროტად ვერ უნდა გამოიყენონ ჩემმა მტრებმა, რაც უნდა ბევრს ეცადონ და ბევრი ოსტატობა იხმარონ.

(შემდეგი იქმნება).

რედაქციის პასუხი.

—

მდ. ეგ. მეტ—ლს. მე გირჩევთ თქვენი სტატიით იქ მიიქცეთ, სადაც იყო გავაშელოვის სტატია დაბეჭდილი.

მ. ფარტხანელს. თქვენ იწერებით: „დიდის ამბით გაიხსნა სკოლა და იმედია ამ სკოლას რიგიანი მასწავლებელი დაენიშნებაო“. უმასწავლებლოთ სკოლა როგორ გაიხსნა?!!

ვარ. შალ—ძეს. მონაწილე ვარ თქვენს მწუხარებაში, დედის გარდაცვალების გამო. იმედია თქვენი მწუხარება აღმსუბუქებულ იქმნება მისი სულის საოხად კეთილის საქმეებით.

მდ. მ. ი. ჯავ—ს. ტყუილა გადგისწორებიათ 1900 წელი 1901 წლად ჟურნალის დასაკვეთ წერილში, სამი მანეთი წარსული წლის არის და არა ამა წლისა. წარსული წლის „პრემიები“ მოიკითხეთ სტამბაში და წაიღეთ.

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ „რუსული „ 3 მ.	— „ „რუსული „ 2 „
— „ ორივე გამოცემა 5 „	— „ „ ორივე გამოცემა 3 „

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭარიოვთან; საჩხერეში—ყარაბან ჩიგრძეულთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაკში—ბლალოჩინ მაჟარისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში დეისაძის სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარიშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ **პრემიად** (საჩუქრად) აქვსთ დანიშნული **დიდი სურათი** ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედ-მეტ ხარჯად ორი შაური. ამ პრემიის გასაგზავნი.

კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ

ს. ბ. თოფურიას.

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან დანერგვებით ავათმყოფებს მიიღებს

ექ. ს. ბ. თოფურია.

ქირურგიულ შარდით სიფილისით და თვალების ავათმყოფობისათვის.

ექ. ფ. კ. ბერრატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიო ქალი.

ექ. მ. ფ. კოგანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული სარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

შინაარსი:

საილტერატურო განყოფილება: ყოვლად სამღვდელო გაბრიელის საფლავზე ძეგლის დადგმა და მისი კურთხევა გვლათის მონასტერში.—არიან თუ არა ქართველ-კათოლიკენი?—იმერეთის ეპარქიის სამღვ. დეპუტ. კრება ქუთაისში 15 დეკემბერს.—თავადი რაფიელ დავითის ძე ერისთავი, (ნეკროლოგი).—მღვდელი პეტრე ჩარგეიშვილი.—ჟურნალ-გაზეთებიდგან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და **მეცნიერება ქრისტიანოზრივ სარწმუნ.** და **კეთილ-ზნეობაზე:** ხმა მაცხოვრისა ეკლესიის მწყემსისადმი.—რედაქციის პასუხი.

განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 2 Марта *1901 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.